



„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI)
ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ
2013 წლის მეორე ნახევარი

სარჩევი

1. შესავალი	3
2. კანონის უზენაესობა	4
ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში	4
უდანაშაულობის პრეზუმფცია	6
სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლა	7
ე.წ. „ციხის მაცურებლები“	9
ეფექტიანი გამოძიება	10
პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდები	14
ფარული მიყურადება	17
3. ყოფილ თანამდებობის პირთა მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები	18
4. შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება	23
5. რელიგიის თავისუფლება	24
6. ინფორმაციის თავისუფლება	32
7. საკუთრების უფლება	35

1. შესავალი

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ განაგრძობს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია აღნიშნული საქმიანობის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია და მისი ანალიზი.

ანგარიშის მიზანია, შეაფასოს ფაქტები და გამოკვეთოს ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან სათანადო შეფასებასა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს, რათა ადეკვატურად მოხდეს არსებული გამოწვევების დაძლევა და პრობლემების გადაჭრა. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ანგარიშში არ არის მიმოხილული ის მიღწევები და პოზიტიური ნაბიჯები, რომლებიც ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით გადაიდგა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არამედ ყურადღება გამახვილებულია სწორედ უფლებათა დარღვევების ფაქტებზე ან უფლებათა ეფექტიანი რეალიზების კუთხით არსებულ საფრთხეებზე.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მიიჩნევს, რომ 2013 წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა გარკვეული პოზიტიური ზომები ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მათ შორის აუცილებელია აღნიშნოს ადამიანის უფლებათა სფეროში სამოქმედო გეგმის შემუშავება და უფლებადარღვევათა ფაქტების აღმოფხვრის მიმართულებით გატარებული რიგი ღონისძიებები, მაგალითად, შრომითი უფლებების განმტკიცების, ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტის შემუშავების, სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით გადადგმული ნაბიჯები, ასევე რიგი სხვა მიმართულებებით განხორციელებული ინიციატივები.

თუმცა, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი მძიმე ფაქტი, გამოიკვეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების ტენდენციები, მათ შორის, სისტემური პრობლემები თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფისა და რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკის გაძლიერების მიმართულებით. პრობლემატური რჩებოდა პოლიტიკურ ოპონენტთა უფლებების სრულყოფილი რეალიზაციის საკითხები. რიგ სისხლის სამართლის საქმეებში გამოკვეთილმა კანონდარღვევებმა გააჩინა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პოლიტიკური

ნიშნით მიკერძოებულ ქმედებებთან დაკავშირებული სერიოზული ეჭვები. სამწუხაროა, რომ დღემდე გადაუჭრელია საზოგადოების წინაშე არსებული ის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევებს უკავშირდება. შემაფოთებელია, რომ ხელისუფლება არაადეკვატურ რეაგირებას ახდენდა, უფრო მეტიც, პირდაპირ არიდებდა თავს მასზე დაკისრებული ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების შესრულებას იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ სერიოზულ უფლებადარღვევებს ეხებოდა.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, არაერთხელ გააკეთა განცხადება და მიმართა ხელისუფლების ორგანოებს ანგარიშში წარმოდგენილ პრობლემებთან დაკავშირებით, რასაც, სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან ჯეროვანი ყურადღება და ეფექტური საპასუხო ნაბიჯები არ მოჰყოლია.

მიგვაჩნია, რომ ანგარიშის მეშვეობით კიდევ ერთხელ უნდა გამახვილდეს ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება ამ თემებზე. აუცილებელია ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ტენდენციების, უფლებადარღვევათა მასშტაბებისა და სერიოზულობის საფუძვლიანი გააზრება, რათა დროულად მოინახოს პრობლემათა გადაჭრის ქმედითი გზები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კუთხით პროგრესის მიღწევა, რაც ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს როგორც თანამედროვე რეალობისა და ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, ისე საქართველოს ევროინტეგრაციული მიზნების განხორციელების თვალსაზრისით.

2. კანონის უზენაესობა

ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

2013 წლის 4 ივლისს საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ იქნა კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მოწმის დაკითხვის ახალი პროცედურების მარეგულირებელი ნორმების ამოქმედების ვადა 2013 წლის პირველ დეკემბრამდე გადაიწია. 2013 წლის 20 დეკემბერს კი მთავრობის მიერ ინიცირებულ და პარლამენტის მიერ მიღებულ

იქნა კიდევ ერთი კანონი მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ვადის დამატებით 2 წლით გადაწევის შესახებ.¹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციით, ბრალდების მხარეს აქვს უფლება გამოძიების ეტაპზე განახორციელოს მოწმეთა დაკითხვა, რაც გულისხმობს მოწმის ვალდებულებას გამოცხადდეს და ჩვენება მისცეს საგამოძიებო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საგამოძიებო ორგანოს გააჩნია მოწმის იძულებით მიყვანის უფლებამოსილება, ხოლო მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემა.

განსხვავებით ბრალდების მხარისადმი ჩვენების მიცემის სავალდებულო წესისაგან, პირს არ აქვს ვალდებულება ჩვენება (ახსნა-განმარტება) მისცეს დაცვის მხარეს. იმავდროულად, დაცვის მხარეს კანონმდებლობა არ აძლევს საშუალებას, დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს ბრალდების მხარის მიერ წარმოებულ დაკითხვის პროცესში, რომელიც საქმის სასამართლო განხილვამდე წარმოებს.

მოწმის დაკითხვის ახალი წესი, რომლის ამოქმედება 2 წლის ვადით გადაიდო, მოწმის დაკითხვის შესაძლებლობას მხოლოდ სასამართლოს წინაშე იძლევა, სადაც როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე არიან უფლებამოსილი ისარგებლონ თანაბარი პროცესუალური უფლებებით. მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედება მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული დებულებების ამოქმედება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების შემდგომ რამდენჯერმე გადავადდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა დაუშვებლად მიიჩნევს ნორმათა ამოქმედების სისტემატურ გადავადებას. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ლახავს კანონის უზენაესობის პრინციპს: „...მართალია, კანონმდებელს უფლება აქვს, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, შეაჩეროს ნორმატიული აქტის მოქმედება, მაგრამ ეს არ უნდა ღებულობდეს უსასრულოდ პერმანენტულ ხასიათს და არ უნდა იქცეს კანონის ამოქმედების პრინციპად. კანონის მოქმედებისადმი ასეთი დამოკიდებულება უარყოფითად აისახება კანონის ავტორიტეტზე და ხელს უწყობს მოქალაქეთა მხრიდან მის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ამგვარი მიდგომით ეჭვქვეშ დგება არა მარტო უფლების რეალიზაცია, არამედ თვით ამ უფლების არსებობაც... ნებისმიერი კანონის

¹http://parliament.ge/files/Draft_Bills/23.12.13/07-2.128.pdf

მოქმედების უსაფუძვლოდ გაუთავებელი შეჩერება-გადავადება ბღალავს კანონის უზენაესობის პრინციპს და საზოგადოებაში ამკვიდრებს განუკითხაობის შეგრძნებას.²

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების განსახორციელებლად მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის, სამართალწარმოების პროცესში განამტკიცებს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. განსხვავებით 2010 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან (რომელიც გამოძიების წარმოებას ინკვიზიციურობის პრინციპს აფუძნებდა), ახალი კოდექსი მიმართულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრებისაკენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასამოქმედებელი ნორმის კვლავ ორი წლით გადავადება უარყოფითად აისახება ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე საქართველოში, საფრთხის ქვეშ დატოვებს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ეფექტიან განხორციელებას და იძლევა საგამოძიებო ორგანოებში მოწმედ დაბარებულ პირთა მიმართ ზემოქმედების შესაძლებლობას.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით, რომლის თანახმად „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევები, სამწუხაროდ, ბოლო წლებში საკმაოდ ხშირი მოვლენა გახდა, უფრო მეტიც, ამგვარმა ფაქტებმა სისტემური ხასიათი მიიღო. აღნიშნული უფლების დარღვევის კონკრეტული შემთხვევები ასახული იყო ჩვენ მიერ წარმოდგენილ 2013 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშიც.³

სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას ამ დრომდე არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები არსებული პრობლემის გადასაჭრელად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსური პოლიციის მიერ დღემდე ხდება იმ ტიპის განცხადებების გავრცელება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ბრალდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს მტკიცებით ფორმაში გვამცნობენ.

²http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=220&action=show

³<http://gdi.ge/wp-content/uploads/2013/07/GDI-report-full-version.pdf>

მათ მიერ გავრცელებულ განცხადებებში პირები მოხსენიებული არიან ყაჩაღური დაჯგუფების წევრებად⁴, ქრთამის აღებაში დამხმარედ⁵ და სხვა, მაშინ როცა სასამართლოს აღნიშნული პირების დამნაშავეობის შესახებ ჯერ არ უმსჯელია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნორმებს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ, კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული უფლებადარღვევის პრევენციის მექანიზმები და აღნიშნული უფლების დაცვის ეფექტური გარანტიები.

კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი პირს არ აძლევს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევაში უფლების ეფექტური აღდგენის შესაძლებლობას. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ კვლავ მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, მოახდინოს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავება და მიღება, რათა მოქალაქეებმა შეძლონ თავიანთი პროცესუალური უფლებების ქმედითი რეალიზაცია და მოხდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტების თავიდან აცილება.

სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლა

კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფოში არსებობდეს ეფექტური უფლებადაცვითი მექანიზმები და ინსტიტუტები. ამ თვალსაზრისით საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახალხო დამცველის ინსტიტუტს, რომელიც იმავდროულად ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ამ კანონის საფუძველზე გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით. კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო

⁴<http://police.ge/ge/shss-m-kachaghuri-dadjgufeba-daakava/5652>

⁵<http://police.ge/ge/shss-s-antikoruftsulma-saagentom-qrtamis-aghebis-faqtze-ori-piri-daakava/5629>

დამცველის რწმუნებულებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად შევიდნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში. ასევე „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს რწმუნებულების უფლებამოსილებას შესაბამისი ორგანოებისგან მოითხოვონ შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა, მიიღონ ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის 17 ოქტომბერს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დოკუმენტაციის გაცნობის გარეშე, ძალის გამოყენებით დაატოვებინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს სამმართველოს სამორიგეო ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ხსენებული სამმართველოს უფროსის მოადგილეს, გიორგი რევაზიშვილს დადგენილი წესით გააცნეს თავი და წარუდგინეს სამსახურებრივი მოწმობები.⁶ გავრცელებული ვიდეოკადრები ცხადყოფს, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან სახალხო დამცველის წარმომადგენლების საქმიანობისათვის ხელშეშლას.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მიერ 18 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება სრულიად განსხვავდება გავრცელებულ კადრებში ასახული ფაქტებისგან. ოფიციალურ კომენტარში ნათქვამი იყო, რომ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები საგარეჯოს რაიონული სამმართველოს სამორიგეო ნაწილში ისე შევიდნენ, რომ არ წარუდგენიათ სახალხო დამცველის წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი და არც სიტყვიერად გაუცვნიათ თავი.⁷

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული რეგულირების ეფექტიანად აღსრულება. სახალხო დამცველის ინსტიტუტი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს. შემაშფოთებელია, რომ აღნიშნულ ორგანოს საშუალება არ მიეცა თავისუფლად განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება. მიგვაჩნია, რომ სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნის ყველა შემთხვევა აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან საჭიროებს მიუკერძოებელ მიდგომას და ადეკვატურ რეაგირებას, რათა არ მოხდეს კანონის დამრღვევ თანამდებობის პირთა წახალისება. მომხდარი ფაქტის მიმართ ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება საშიშროებას უქმნის კანონის უზენაესობას და ზიანს აყენებს ადამიანის

⁶<http://www.youtube.com/watch?v=FoYCORyCd4A>

⁷<http://www.youtube.com/watch?v=s1XwNqoLyJM>

უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურად დაცვას ქვეყანაში. მივიჩნევთ, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამოძიება უნდა მოხდეს დროულად და ეფექტიანად.

ე.წ. „ციხის მაყურებლები“

2012 წლის სექტემბერში გავრცელებული ვიდეოჩანაწერების შემდეგ, სადაც ასახული იყო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები, სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე პროცესები საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ეპიცენტრში რჩება.

ვიდეოჩანაწერების გავრცელების შემდგომ, რასაც მოჰყვა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირთა შეცვლა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადმინისტრაციის მხრიდან პატიმართა მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტების შესახებ დადასტურებული ინფორმაცია აღარ გავრცელებულა. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების სისტემა ახალი პრობლემის წინაშე დადგა. ციხეებში საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის განმტკიცებისა და კრიმინალური ავტორიტეტების მიერ გავლენის მოპოვების წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ახალ გამოწვევად იქცა, არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კრიმინალური ავტორიტეტების მიერ გავლენის მოპოვებისა და მათ მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ.

ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო ფაქტი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში ჩადენილ დანაშაულს უკავშირდება, ლევან კორტავას გარდაცვალებაა. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის 13 მაისს გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 24 წლის პატიმარი ლევან კორტავა სასტიკად იქნა ნაცემი, რასაც ამავე წლის 23 მაისს მისი გარდაცვალება მოჰყვა. მთავარი პროკურატურის 2013 წლის 2 აგვისტოს განცხადებით, გეგუთის ციხეში გადაყვანისას ლევან კორტავასა და უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ილია შანშაშვილს შორის ფსიქოტროპული პრეპარატების გაცემასთან დაკავშირებით შელაპარაკება მოხდა. ილია შანშაშვილმა ლევან კორტავასთან კონფლიქტური სიტუაციის გარკვევა დაავალა მსჯავრდებულ შოთა სინაურიძეს, რის შემდეგაც რამდენიმე პატიმრის მიერ კორტავა განსაკუთრებული სისასტიკით იქნა ნაცემი და მიყენებული

დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.⁸ გარდა შანშაშვილისა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული არიან გეგუთის ციხის დირექტორი მალხაზ სინაურიძე, დირექტორის მოადგილე ივერი გოგიბერიძე, უსაფრთხოების განყოფილების უფროსი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორი და სოციალური მუშაკი.⁹

განსაკუთრებით საგანგაშო ინფორმაცია სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მიერ კრიმინალური ავტორიტეტების გავლენის გამოყენების შესახებ. სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო რეაგირების შემთხვევაში პატიმრებსა და ციხის თანამშრომლებს შორის უკანონო კავშირებმა და დაწესებულებაში გარკვეული პატიმრებისათვის უპირატესობის მინიჭების ფაქტებმა შესაძლოა სისტემური ხასიათი მიიღოს. თითოეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რამდენად მონაწილეობდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამდებობის პირები ამგვარი ქმედებების ჩადენაში და რამდენად ეფექტიანად ახორციელებს ციხის ხელმძღვანელობა კრიმინალური ავტორიტეტების მმართველობის მეთოდების წინააღმდეგ ბრძოლას.

სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან არაერთხელ გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არიან ე.წ. მაყურებლები.¹⁰ მისასალმებელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხდება არსებული პრობლემის აღიარება, თუმცა მის აღმოსაფხვრელად საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

აუცილებელია გაძლიერდეს შიდა მონიტორინგის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არაფორმალური მმართველობის ფაქტების დროულ და ეფექტურ აღკვეთას.

ეფექტიანი გამოძიება

მამუკა მიქაუტაძის საქმე - საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოქალაქე მამუკა მიქაუტაძის უკანონო დაკავების ფაქტმა, მოგვიანებით მისმა მოწმის სტატუსით დაკითხვამ და გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ დაკითხვის დროს ის, სავარაუდოდ, ჩვენების მიღების მიზნით პოლიციელთა მხრიდან ზეწოლას დაექვემდებარა. ჩვენების მიცემის მომდევნო დღეს მამუკა მიქაუტაძემ, ოფიციალური ვერსიის თანახმად, თავი ჩამოიხრჩო.

⁸<http://netgazeti.ge/GE/105/News/22313/>

⁹<http://www.tabula.ge/ge/story/77982-levan-kortavas-saqmeze-brali-kriminalur-avtoriteteb-tsaukenes>

¹⁰<http://ghn.ge/news-96793.html>

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მამუკა მიქაუტაძე 2013 წლის 5 ივლისს, დილის საათებში, საკუთარ სამუშაო ადგილას დააკავეს. თვითმხილველთა განცხადებით, მიქაუტაძე რამდენიმე საათის მანძილზე ჯერ დაკავების ადგილას ჰყავდათ, ხოლო შემდეგ სამართალდამცავებმა წაიყვანეს.

მამუკა მიქაუტაძის გადაყვანა მოხდა შსს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში, სადაც, ოფიციალური ვერსიით, ის მოწმედ იკითხებოდა. აღსანიშნავია, რომ მასთან შეხვედრის და დაკითხვაზე დასწრების საშუალება არ მიეცა ადვოკატს, რომელიც პოლიციის შენობაში, გამომძიებელთან დაუკავშირებლობის მოტივით, არ შეუშვეს. ადვოკატს ასევე რამდენიმე საათის განმავლობაში არ მიეცა საშუალება შეხვედროდა მეორე დაკავებულს, გელა მანჯავიძეს.

მას შემდეგ, რაც მამუკა მიქაუტაძემ პოლიციის შენობა დატოვა, საკუთარ მეგობრებს მოუყვა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ და განაცხადა, რომ მას იატაკზე დაგდებულს თავზე ფეხის დაჭერით მოაწერინეს ხელი გელა მანჯავიძის წინააღმდეგ ჩვენებაზე. მან ასევე განაცხადა, რომ მომდევნო დილით კვლავ დაბარებული იყო პოლიციაში.

მამუკა მიქაუტაძე მასზე განხორციელებული ზემოქმედების შესახებ ესაუბრა საკუთარ მეუღლესაც. მომდევნო დღეს, დილით, მიქაუტაძემ მეგობრებს აცნობა, რომ მომხდარის შემდეგ აღარ სურდა სიცოცხლე. მოგვიანებით კი მამუკა მიქაუტაძე თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამომხრჩვალ იპოვეს.

მამუკა მიქაუტაძის გვამს, საგამომიებო ორგანოს ინიციატივით, ექსპერტიზა ჩაუტარდა, ხოლო მოგვიანებით, ოჯახის თანხმობით, მის გვამს ასევე ჩაუტარდა ალტერნატიული ექსპერტიზაც.¹¹ ამ უკანასკნელის დროს გვამზე დაფიქსირდა რამდენიმე დაზიანება, რომლის მიღების დროც შეესაბამებოდა მამუკა მიქაუტაძის პოლიციის შენობაში ყოფნის დროს. ექსპერტის განცხადებით, მიქაუტაძეს სიკვდილამდე დროის ახლო პერიოდში სხეულის დაზიანება მიადგა „რამე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით“.¹²

მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე გამოძიება აწარმოა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, რომელმაც დაადგინა, რომ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მამუკა მიქაუტაძის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური შეურაცხყოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.¹³

¹¹<http://www.radiotavisupleba.ge/content/mikautadzis-sakmis-sheesakheb/25049161.html>

¹²<http://civil.ge/geo/article.php?id=27144>

¹³<http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/5191>

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება უნდა ჩატარებულიყო არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ანუ იმ უწყების მიერ, რომლის სისტემაშიც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა დანაშაული, არამედ საქართველოს პროკურატურის მიერ. შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს მიერ გამოძიების ეტაპზე გავრცელებული წინასწარი შეფასებები¹⁴ ეჭვქვეშ აყენებს წარმართული გამოძიების დამოუკიდებლობას, ეფექტიანობასა და სანდობას.

იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის #34-ე ბრძანების (სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე) მე-2 პუნქტის თანახმად, თუ დანაშაული სავარაუდოდ ჩადენილია პოლიციის მიერ, საქმე პროკურატურის გამომძიებლის ქვემდებარეა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ განაცხადა: „იმისთვის, რომ გამოძიება ეფექტიანი იყოს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი წარმართველი პირები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ, როგორც სამართლის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ არ უნდა არსებობდეს იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი მოვლენების მონაწილე პირებთან, არამედ ისინი პრაქტიკულადაც დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც მოითხოვს მე-2 მუხლი, განამტკიცებს საზოგადოების რწმენას, რომ ხელისუფლებას ძალუმს უზრუნველყოს სამართლის უზენაესობა, რათა აღკვეთოს უკანონო ფარული გარიგებების ნებისმიერი გამოვლინება ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და, როდესაც საქმეში სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სახელმწიფო ორგანოების ხელი ურევია, უზრუნველყოს, რომ მათ პასუხი აგონ თავიანთი ქმედებებისათვის, რომლებსაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.“¹⁵

ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ გამოძიების პროცესი მიქაუტაძის საქმეზე წარმართა საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების უხეში დარღვევით.

რომან იაკობაძის საქმე - საანგარიშო პერიოდში ჩვენი ყურადღება ასევე მიიპყრო რომან იაკობაძის საქმემ. იაკობაძის ოჯახის წევრთა განცხადებით, ადიგენის პოლიციის თანამშრომლები იაკობიძეზე ზეწოლას ახორციელებდნენ, აიძულებდნენ ნათესავისათვის

¹⁴<http://police.ge/files/pdf/%E1%83%A8%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%A1%20%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20%E2%80%93%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94.pdf>

¹⁵[http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{"itemid":\["001-104636"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{)

ჩადო იარაღი. ისინი აღნიშნავენ, რომ იაკობიძეს დააწერინეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამ ფაქტების შესახებ დაზარალებულის ოჯახმა შეატყობინა როგორც აჭარის პროკურატურას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს.¹⁶ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ დაკავების შემდგომ იაკობიძეს პოლიციის იმავე განყოფილების მიერ არ მიეცა დაცვის უფლებით სარგებლობის საშუალება. პოლიციელები უარყოფენ იაკობიძის საქმესთან დაკავშირებით ოჯახის მიერ საზოგადოებისადმი მიწოდებული ფაქტების ნამდვილობას. თუმცა აღნიშნულ ფაქტზე პროკურატურის მიერ სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გამხდარა.

*ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილის განცხადება - 2013 წლის 17 დეკემბერს, პატიმრობაში მყოფმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ქუთაისის საოლქო სასამართლოში მის მიმართ წარმოდებული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განცხადება გააკეთა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ, რაშიც მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დიმიტრი დარბაისელი დაადანაშაულა.*¹⁷

მერაბიშვილის განცხადებით, პარასკევს 13 დეკემბერს გვიან ღამით, 2:30 საათზე, თავზე გადააფარეს თავისივე მოსაცმელი, გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, ჩასვეს ავტომობილში და, მისივე ვარაუდით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადაიყვანეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ კაბინეტში მას დახვდა პირადად მთავარი პროკურორი, რომელიც მერაბიშვილს წაყენებული ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში ემუქრებოდა ციხეში პირობების გაუარესებით.¹⁸

გავრცელებულ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტები აშკარად შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და საგანგაშო ხასიათის იყო. მსგავსი ფაქტის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას სახელმწიფო სერიოზულად უნდა მოეკიდოს და უზრუნველყოს სწრაფი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების ჩატარება. აღნიშნული განსაკუთრებით აუცილებელია იმ ფონზე, როდესაც სავარაუდო ზეწოლის ფაქტი ეხება ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომლის მიმართ წარმოდებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებობს მთელი რიგი კითხვები.

აღნიშნულ საქმეზე საგანგაშო იყო პროკურატურის პირველადი განცხადება, რომ პროკურატურა არ აპირებს ხსენებული საქმის გამოძიებას. არანაკლებ დამაფიქრებელია

¹⁶<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21616>

¹⁷<http://24saati.ge/index.php/category/news/2013-12-18/42140.html>

http://for.ge/view.php?for_id=29126&cat=13

¹⁸<http://www.youtube.com/watch?v=KiodYtVnM0E>

პარლამენტარ თინათინ ხიდაშელის განცხადებაც, რომელმაც რამდენჯერმე აღნიშნა, რომ თუ მერაბიშვილის მიერ მოყვანილი ინფორმაცია არ დადასტურდება, ის უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ცრუ ბრალდებისათვის. აღნიშნული პოზიცია შემამფოთებელია და ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს.

ამ დრომდე საგამომიებო ორგანოების მხრიდან გამომიების დაწყების ვალდებულება არ შესრულებულა. მხოლოდ სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარდა სამსახურებრივი მოკვლევა.¹⁹ თუმცა, შიდა მოკვლევის ჩატარება არ ნიშნავს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში ნათქვამია, რომ ივანე მერაბიშვილის მიერ განცხადების გაკეთების მომენტისათვის ჩანაწერი აღარ არსებობდა, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობაში არსებული ვიდეო-სათვალთვალო ტექნიკური საშუალებები 24 საათის გასვლის შემდეგ ძველ ჩანაწერებს ავტომატურად შლის.²⁰ იმავდროულად აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი გენერალური ინსპექციის მიერ დასკვნის გამოქვეყნებამდე აცხადებდა, რომ ვიდეოჩანაწერები 10 დღის ვადით ინახება, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული უარყო.²¹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს გამომიებლისა და პროკურორის ვალდებულებას მასმედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება. ყოფილი პრემიერის მიერ გაკეთებული განცხადების სიზუსტის გასარკვევად აუცილებელი იყო ჩატარებულიყო დროული და ეფექტიანი გამოძიება, რომლის მეშვეობითაც პასუხი გაეცემოდა საზოგადოებაში არსებულ კითხვებს. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების ადრესატი მთავარი პროკურორი იყო, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინა საქმის ობიექტურ გამოძიებაზე, არსებული პროცესის პოლიტიკური დავის ჭრილში მოქცევის გარეშე.

პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდები

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანის თავისუფალი გადაადგილების უფლება. აღნიშნული ნორმის თანახმად, „ყველას, ვინც კანონიერად

¹⁹ <http://208.75.225.188/ge/story/79054-sasjelaghshrulebis-saministro-merabishvilis-kadrobi-avtomaturad-tsaishala>

²⁰ <http://208.75.225.188/ge/story/79054-sasjelaghshrulebis-saministro-merabishvilis-kadrobi-avtomaturad-tsaishala>

²¹ <http://www.tabula.ge/ge/story/78953-subari-merabishvilis-saqmeze-30-mde-videokameris-monacemi-amovighet>

იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება.“ ადამიანისათვის გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვა ან მისი აღკვეთა წარმოადგენს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ პირადი თავისუფლების ხელშეუვალობის უფლებაში მნიშვნელოვან ჩარევას.

„ადამიანის თავისუფლება გულისხმობს მის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით.²²

2013 წლის აგვისტოში თბილისში რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოქალაქეთა მასობრივი გაჩერება და შემოწმება.²³ რეიდების დროს სისტემატურად ხდებოდა როგორც ქვეითად მოსიარულე პირთა, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩხრეკა, მოქალაქეთა პირადი დოკუმენტაციის შემოწმება.²⁴ გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლები ზოგიერთ შემთხვევაში იწერდნენ მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას და შემოწმებულ პიროვნებას მობილურით უღებდნენ სურათს. პოლიციის მიერ განხორციელებულ რეიდებს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრევენციული ღონისძიება უწოდა, რომელიც, სამინისტროს განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და მძიმე დანაშაულთა გამოვლენას ემსახურებოდა.²⁵

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რეიდების ჩატარება შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, თუ რა გარემოებებში არის შესაძლებელი ჩხრეკისა და ამოღების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ კანონიერების ფარგლებში განხორციელდეს ჩხრეკა და ამოღება, აუცილებელია პოლიციელმა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის თანახმადაც დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ჩხრეკა და ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ იქნეს საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება ასევე შესაძლებელია ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად. ჩხრეკისა და ამოღების განხორციელება შესაძლებელია დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, რომელიც ამავე კოდექსის მიხედვით

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.2;

²³ <http://www.youtube.com/watch?v=KUB0XEw4m2U>

²⁴ <http://www.youtube.com/watch?v=KUB0XEw4m2U>

²⁵ <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/251847-irakli-gharibashvili-prevenciuli-ghonisdziebebi%20dasrulebulia.html?ar=A>

შემდეგნაირად განიმარტება: ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. არაგონივრულია დასაბუთებულ ვარაუდად მივიჩნიოთ პოლიციელების მიერ შემთხვევით შერჩეულ პირთა მიმართ მასობრივი ჩხრეკის ჩატარება. მოქალაქეთა შეჩერება და ჩხრეკის ჩატარება მასობრივი სახით წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ პოლიციელების მიერ ხდებოდა არა კონკრეტულად რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის ან სხვა სამართალდამრღვევი პირის ძებნა მისი დაკავების მიზნით, არამედ შემთხვევითობის პრინციპით ადამიანების შერჩევა და ჩხრეკა.

იმას, რომ განხორციელებული ღონისძიებები არ შეესაბამებოდა კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაც იმის შესახებ, რომ ჩატარებული რეიდები ატარებდა პრევენციულ ხასიათს²⁶. ამგვარი პრევენციული ღონისძიება ეწინააღმდეგება კანონიერ მიზნებს.

გარდა ამისა, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია შეჩერებულ პირს გააცნოს თავისი ვინაობა, წარუდგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და განუმარტოს შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრების უფლება“.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სამართალდამცავების მხრიდან კანონით დაწესებული აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიებები უკანონო ხასიათს ატარებდა და არღვევდა მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციელთა ნაწილი დაედევნა ტელეკომპანია ტაბულას ჟურნალისტს, რომელიც იღებდა რეიდის მიმდინარეობის პროცესს, მათ გაჩხრიკეს ჟურნალისტი და გადაღებული ვიდეომასალა იძულებით წაუშალეს.²⁷ საქართველოს კანონმდებლობით, ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლა წარმოადგენს დანაშაულს, რაც საჭიროებს

²⁶<http://www.interpressnews.ge/ge/samartali/251847-irakli-gharibashvili-preveniuli-ghonisdziebedasrulebulia.html?ar=A>

²⁷<http://www.tabula.ge/ge/story/73966-shss-tabulas-zhurnalistis-mimart-kanondarghvevas-uarkofs>

ადეკვატური გამოძიების ჩატარებას და შესწავლას. „ტაბულამ“ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა აღნიშნული ფაქტის გამოძიება, თუმცა, სამინისტროს განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში რამე სახის კანონდარღვევა არ დასტურდებოდა, შესაბამისად, მოცემულ ფაქტს ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია.²⁸

ფარული მიყურადება

2013 წლის 2 ოქტომბერს, კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ბაჩანა ახალაიას შეხვედრების ეპიზოდები მასთან შეხვედრაზე მყოფ პირებთან.²⁹ გავრცელებული ვიდეო შეიცავს აუდიოჩანაწერსაც, სადაც გარკვევით ისმის საკანში მყოფ პირთა საუბრის შინაარსი.

პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი სასჯელაღსრულების დაწესებულებას ანიჭებს უფლებამოსილებას, განხორციელებს პატიმრის ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა. ამავ კოდექსით ადმინისტრაციას ეკისრება ვალდებულება, რომ ბრალდებული გააფრთხილოს კონტროლისა და ზედამხედველობის ტექნიკური საშუალებების გამოყენების თაობაზე.³⁰ ბაჩანა ახალაიას ადვოკატების განცხადებით, პატიმარი ინფორმირებული იყო მის მიმართ განხორციელებული მხოლოდ ვიდეოკონტროლის და არა აუდიოჩანაწერის (მიყურადების) შესახებ.³¹

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაკეთებული ოფიციალური კომენტარებიდან ირკვევა, რომ სამინისტრო დარღვევად არ მიიჩნევს საკანში აუდიო- და ვიდეოფორმით ჩანაწერების განხორციელებას, რასაც პატიმრის უსაფრთხოების დაცვის მოტივით ხსნის.³² სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია მიყურადების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ არადამაჯერებელია, რადგან სამინისტროს საზოგადოებისათვის (ისევე როგორც ბრალდებულისა და მისი ადვოკატებისათვის) არ წარმოუდგენია ბაჩანა ახალაიას ინფორმირებულობის დამადასტურებელი მტკიცებულება. გარდა ამისა,

²⁸ იქვე

²⁹ <http://www.youtube.com/watch?v=BhCjpu8Hfgk>

³⁰ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსის“ შესახებ, 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი

³¹ <http://www.ick.ge/rubrics/society/16007-i.html>

³² <http://www.ick.ge/rubrics/society/16012-2013-10-04-13-00-22.html>

სამინისტროს მიერ გაკეთებული განმარტება იძლევა საფუძვლიან ვარაუდს, რომ ბაჩანა ახალაიას აუდიომიყურადება ხორციელდებოდა მის საკანში ჩატარებულ ნებისმიერ შეხვედრაზე.

ამრიგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ხსენებულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლების შელახვას.

აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ ფონზე, რომ ბაჩანა ახალაიას მონახულებას მისივე საკანში სისტემატურად ახორციელებდნენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, რომლებიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები არიან.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი, ასევე „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი“ კრძალავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრთა საქმიანობის განხორციელების დროს თავისუფლებაადკვეთილ პირთან საუბრის კონფიდენციალობის დარღვევას. სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადება აუდიო- და ვიდეოფიქსაციის უწყვეტ რეჟიმში წარმოების შესახებ³³ ამყარებს ეჭვს, რომ მსგავს მიყურადებას შესაძლოა დაქვემდებარებოდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ის წევრები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მონიტორინგს ახორციელებდნენ, რაც ეწინააღმდეგება კანონის ზემოაღნიშნულ ნორმას და პირდაპირ არღვევს საუბრის კონფიდენციალობის პრინციპს.

3. ყოველ თანამდებობის პირთა მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი ითვალისწინებს ყოველი ადამიანის უფლებას თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული უფლება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა და ის არ შეიძლება მიზანშეწონილობის შესაბამისად შეიზღუდოს.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ: „ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი,

³³<http://www.ick.ge/articles/16000-i.html>

გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.³⁴

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო გამოძიების წარმოება მთელ რიგ საქმეებზე, რომლებიც ყოფილ მაღალჩინოსნებს უკავშირდება. აღნიშნულის შედეგად პასუხისგებაში მიეცნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები.

მათ მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებს გარკვეულ შემთხვევებში თან ახლდა სამართლიანი პრეტენზიები კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა დარღვევისა და კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფის კუთხით. აღნიშნული ფაქტების ნაწილი აისახა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ 2013 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშიც.

ბაჩანა ახალაიას საქმე - საანგარიშო პერიოდში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ პრეტენზიებმა, რომლებიც უკავშირდებოდა ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო განხილვის გაჭიანურებას. აღნიშნულ საქმეზე პროკურატურის ქმედებები საფუძვლიანად ბადებს ეჭვებს საქმის განხილვის ხელოვნურად შეყოვნების შესახებ. 2013 წლის 19 სექტემბერს, სასამართლო პროცესზე პროკურორ რევაზ ნადოის გამოუცხადებლობის მიზეზად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დასახელდა.³⁵ საქმეში ჩაერთო პროკურორი ია დარჯანია, რომელმაც თავდაპირველად პროცესის გადადება მოითხოვა 30 დღით საქმის მასალების გასაცნობად, რისთვისაც მას სასამართლომ 10 დღე მისცა. 30 სექტემბერს მოსამართლემ პროკურორს მოუმზადებლობის მიზეზით დამატებით 7 დღის ვადა განუსაზღვრა. 7 ოქტომბერს სასამართლომ დააკმაყოფილა ია დარჯანიას მიერ დაყენებული თვითაცილების შუამდგომლობა,³⁶ რის შემდგომაც ბაჩანა ახალაიას საქმეზე დანიშნულ ახალ პროკურორს, ლევან ადეიშვილს საქმის მასალების გასაცნობად 10-დღიანი ვადა განესაზღვრა.³⁷

³⁴საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.პ.14;

³⁵<http://www.tabula.ge/ge/story/74767-axalaias-saqmeze-prokurori-revaz-nadoi-ia-darjaniam-chaanacvla>

³⁶<http://www.tabula.ge/ge/story/75457-bacho-axalaias-saqmeze-prokurori-meored-sheicvala>

³⁷<http://www.tabula.ge/ge/story/75458-axali-prokurori-bacho-axalaias-saqmes-bolomde-mivikvan>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თვითაცილება უნდა იყოს დასაბუთებული. მოცემულ საქმეში განხორციელებულ თვითაცილებები გარკვეულ ეჭვებს ბადებს. პროკურორ რევაზ ნადოის არ წარმოუდგენია დასაბუთებული დოკუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მისი საქმიდან ჩამოცილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით მოხდა. ხოლო ია დარჯანიასთვის წინასწარ ცნობილი იყო ბაჩანა ახალაიას ადვოკატების ვინაობის შესახებ და მეგობრული დამოკიდებულების არსებობის შემთხვევაში მას თავიდანვე შეეძლო საქმე აეცილებინა. ასევე, არადამაჯერებელია პროკურორის განმარტება იმის შესახებ, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, მაშინ როდესაც პროცესი მისივე შუამდგომლობით ორჯერ გადაიდო.

ბაჩანა ახალაიას საქმესთან დაკავშირებით ასევე ყურადსაღებია დაკითხული მოწმის, მანუჩარ დარასელიას ვიდეომიმართვა, სადაც იგი აცხადებს, რომ გამოძიებამ მასზე განახორციელა იძულება, დაშინება და მუქარა.³⁸ მოწმის განცხადებით, მას აიძულებდნენ, ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმეები - რიგი პროცესუალური უფლებების დარღვევა შეინიშნება საქართველოს ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილისა და ყოფილი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე.

ფიქტიური დასაქმების ეპიზოდში პროკურატურა ყოფილ მაღალჩინოსანს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ასეულობით პირის პარტიული ნიშნით დასაქმებაში ადანაშაულებს. უნდა აღინიშნოს ის უპრეცედენტო ფაქტი, რომ ხსენებულ საქმეზე ბრალდების მხარემ მოითხოვა 4000-მდე მოწმის დაკითხვა³⁹, რაც იმდაგვარ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ბრალდების მხარე საქმის განხილვის გაჭიანურებით იყო დაინტერესებული.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ, არსებობს გარკვეული პრეტენზიები ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიმართ გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიების (პატიმრობის) არაუფლებამოსილი მოსამართლის მიერ შეფარდებასთან დაკავშირებითაც. დაცვის მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მალხაზ გურული, რომელმაც ძალაში დატოვა ვანო

³⁸<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/14536/>

³⁹<http://civil.ge/geo/article.php?id=27373>

მერაბიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიება, პატიმრობა, არ არის საგამომიებო პალატის მოსამართლე, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფლება არ ჰქონდა განეხილა ეს საჩივარი.⁴⁰

გიგი უგულავას საქმე - საანგარიშო პერიოდში საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თბილისის მერის, გიგი უგულავას აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხმა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პროკურატურა გიგი უგულავასათვის აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა.⁴¹ სასამართლო პროცესი 2013 წლის 21 დეკემბერს, 18:00 საათზე იყო დანიშნული. პროცესის დაწყებამდე პროკურატურამ კიდევ ერთი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა უგულავას მიმართ კიდევ ერთი აღკვეთის ღონისძიების - თანამდებობიდან გადაყენების გამოყენება. წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობა მოსამართლემ ზეპირი მოსმენით, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მონაწილეობით განიხილა და არ დააკმაყოფილა. ბრალდებულს შეეფარდა გირაო 50 000 ლარის ოდენობით. განჩინების გამოცხადების შემდეგ, იმავე მოსამართლემ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა გიგი უგულავას თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა, რომელიც დააკმაყოფილა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს მსგავსი შუამდგომლობა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ საქმის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი - საქმე ეხება პირდაპირი წესით არჩეულ თბილისის მერის თანამდებობას - და რამდენიმე საათით ადრე იმავე მოსამართლემ მხარეთა თანდასწრებით განიხილა პროკურორის სხვა შუამდგომლობა, უმჯობესი იქნებოდა ამ შემთხვევაშიც დაცვის მხარეს პროცესზე დასწრებისა და საკუთარი არგუმენტების წარდგენის საშუალება მისცემოდა.

2013 წლის 21 დეკემბერს, თბილისის მერმა გიგი უგულავამ მისი სასამართლო პროცესის დაწყებამდე განაცხადა, რომ საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ ხორციელდება ზეწოლა გარკვეული პირების, მათ შორის, შსს-ს გენერალური ინსპექციის ამჟამინდელი და ყოფილი თანამშრომლების მხრიდან. მან დაასახელა კონკრეტული პირები, რომლებიც, მისი განცხადებით, მონაწილეობენ მოსამართლის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაში.⁴²

მოცემულ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ უნდა გამოეყენებინა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და

⁴⁰<http://www.interpressnews.ge/ge/samartali/252544-vano-merabishvilis-advokatebis-shuamdgomloba-ar-dakmayofilda.html?ar=A>

⁴¹<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/26530/>

⁴²<http://netgazeti.ge/GE/105/News/26528/>

დაეწყო მოსამართლესთან შესაძლო არასათანადო კომუნიკაციის ფაქტის შესწავლა.⁴³ მართებულად არ მიგვაჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ მხოლოდ სათანადო ორგანოების მხრიდან მოკვლევის წარმოების შემდეგ მოახდენს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებას. ამგვარი მიდგომა აკნინებს სასამართლოს ავტორიტეტს და საზოგადოებაში წარმოშობს სასამართლოს მიერ უნდობლობის განცდას. საგანგაშოა, რომ ამ ფაქტის შესწავლით იუსტიციის უმაღლესი საბჭო დღემდე არ დაინტერესებულა, მაშინ როდესაც მისი კანონისმიერი ვალდებულებაა სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტორმა, უზრუნველყოს სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულება. არსებული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარემ და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დროულად უნდა შეისწავლონ საქმის მასალები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან საქმის მასალები გაუზიარონ შესაბამის საგამომიებო ორგანოებს.⁴⁴

სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს, რომ საქმე უნდა განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ, ასევე, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, თითოეულ მხარეს ჰქონდეს საკუთარი პოზიციის დაცვის საშუალება. განსაკუთრებით სახიფათოა სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენა, რაც მიუთითებს სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვაზე. მართლმსაჯულების ხარისხისა და სისტემის მდგრადობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ფაქტი სახელმწიფოს მიერ იქნეს სათანადოდ გამოძიებული.

ყოფილი თანამდებობის პირების სასამართლო პროცესებზე გამოვლენილი ზემოხსენებული გარემოებები საზოგადოების ნაწილში ბადებს კითხვებს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ნებისმიერი ასეთი საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა წარმართოს კანონის სრული დაცვით, მაქსიმალური გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება ეჭვები, რომ აღნიშნულ პირთა მიმართ განხორციელებული სამართლებრივი დევნა შესაძლოა პოლიტიკურად იყოს მოტივირებული.

⁴³„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი

⁴⁴„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი

4. შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში პრობლემები გამოიკვეთა შეკრება-მანიფესტაციის უფლების რეალიზების კუთხით. კერძოდ, ადგილი ჰქონდა პოლიტიკური შინაარსის მქონე შეკრება-მანიფესტაციებისთვის ხელშემშლის ფაქტებს. 2013 წლის 20 და 21 ივლისს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად დაგეგმილ შიდა პრაიმერზე ზუგდიდსა და ბათუმში ნაციონალური მოძრაობის პარტიული შეკრების ადგილის სიახლოვეს შეკრებილმა მოქალაქეთა ჯგუფებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებსა და დელეგატებს ქვები და ბოთლები დაუშინეს.⁴⁵ შეკრებილები ასევე შეეცადნენ პრაიმერის ჩასაშლელად პოლიციის კორდონის გარღვევასა და ზუგდიდის თეატრის შენობაში შესვლას. აღნიშნული საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას დაპირისპირების დროს მძიმედ დაშავდა ჟურნალისტი, რომელსაც წყლით სავსე ბოთლი თავში მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცავებმა მოაწყვეს სპეციალური კორდონი, რომლის საშუალებითაც მოხდა პრაიმერის მონაწილეთა და დელეგატთა შესვლა შენობაში.⁴⁶ თუმცა, პოლიციელებმა ვერ შეძლეს ფიზიკური შეურაცხყოფის აღკვეთა. არც შემდგომ ეტაპებზე გატარებულა შესაბამისი ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც ძალადობრივი გზით ხელს უშლიდნენ პოლიტიკური ღონისძიების მშვიდ გარემოში ჩატარებას.

სამართალდამცავებმა დააკავეს 12 პირი, შინაგან საქმეთა მინისტრმა კი გააკეთა განცხადება, რომ ინციდენტში მონაწილე სამართალდამრღვევი პირები კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებოდნენ. თუმცა, სამართალდამრღვევების მიმართ საქმის წარმოება დაიწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად⁴⁷, ხოლო სასამართლომ მათ 100-ლარიანი ჯარიმები დააკისრა. საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს პირთა შეკრების უფლების განხორციელება. პოლიტიკური პლურალიზმის ეფექტური უზრუნველყოფა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მახასიათებელია. ამის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველა აუცილებელი ზომა პოლიტიკური პარტიების უსაფრთხო საქმიანობისათვის. მართალია, პროტესტის გამოხატვა და კონტრდემონსტრაცია ასევე წარმოადგენს შეკრებისა და

⁴⁵<http://www.youtube.com/watch?v=jAinqhSh-OU>

⁴⁶<http://www.kvirispalitra.ge/kviridan-kviramde/17996-incidenti-zugdidshi.html?add=1>

⁴⁷<http://www.tabula.ge/ge/story/73110-shs-zugdidis-incidentshi-monatsile-12-piri-dakavebulia>

მანიფესტაციის უფლების განხორციელებას, თუმცა ამ უფლებით სარგებლობა არ უნდა გასცდეს კანონით დადგენილ ფარგლებს და შეკრებამ არ უნდა მიიღოს ძალადობრივი სახე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებაა მოახდინონ როგორც პოლიტიკური ღონისძიებების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა, ასევე განხორციელებული ძალადობრივი აქტების ობიექტური და სამართლიანი გამოძიება, ხოლო სამართალდამრღვევი პირების მიმართ პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომების გამოყენება.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო პოლიტიკურად მოტივირებულ სხვადასხვა ძალადობრივ ფაქტებზე არაადეკვატურ რეაგირებას ახდენენ. არ ხდება მოძალადეთა ქმედებების ეფექტური აღკვეთა, ხოლო სამართალდამრღვევებს არაპროპორციული სასჯელი ეკისრებათ. ამგვარი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა პრევენციას და ხდება ძალადობის წახალისების ხელშემწყობ ფაქტორად.

5. რელიგიის თავისუფლება

დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

„...რწმენის თავისუფლება წარმოადგენს რა ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენს, იმავდროულად, განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი დემოკრატიულობის ხარისხს...“⁴⁸

რელიგიის თავისუფლება, გულისხმობს რელიგიისა და რწმენის გამოხატვას კერძოდ ან საჯაროდ ღვთისმსახურებით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით ან წეს-ჩვეულებების დაცვით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი იცავს რელიგიურ აღმსარებლობასთან დაკავშირებულ ისეთ ქცევებს, როგორცაა ღვთისმსახურება და ლოცვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ჩარევამ საჯარო ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილ ნაგებობების აგების შესაძლებლობაში შესაძლოა წამოჭრას ღვთისმსახურებისა და რელიგიური რიტუალების

⁴⁸საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.7;

შესრულების უფლების დარღვევასთან დაკავშირებული კითხვები. საკითხის გადაწყვეტისას, წარმოადგენს თუ არა შეზღუდვები „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლო მხედველობაში იღებს, იყო თუ არა კანონი ან მისი გამოყენება პროპორციული კონკრეტულ შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდი რელიგიური უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით გატარებული პოლიტიკის კუთხით საკმაოდ ნეგატიურად ხასიათდება. მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებულ მუქარებს, რელიგიური რიტუალის ჩატარების ხელშეშლას, თავისუფალი გადაადგილებისა თუ მათ მიმართ განხორციელებული დევნის არც ერთ ფაქტს არ მოჰყოლია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებები. ეს პრობლემატიკა ასახული იყო „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ 2013 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში, რომელშიც ყურადღება გამახვილდა სამთაწყაროში, ასევე მანამდე წინწყაროსა და ნიგვზიანში განვითარებულ მოვლენებზე.⁴⁹

2013 წლის აგვისტოში რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან დარღვევას ჰქონდა ადგილი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში, რაც ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ მოვლენად იქცა 2013 წელს ადამიანის უფლებათა სფეროში.

2013 წლის 26 აგვისტოს სოფელ ჭელაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა მეჩეთთან არსებული მინარეთის დემონტაჟი. შემოსავლების სამსახურმა მინარეთის დემონტაჟის ფორმალურ საფუძვლად საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმების პროცედურა დაასახელა. შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ კონსტრუქციის წონა და სასაქონლო კოდი შესაძლოა დეკლარირებულ მონაცემებს არ შეესაბამებოდა, ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.⁵⁰

როგორც მოპოვებული ინფორმაცია ცხადყოფს, დემონტაჟის განხორციელების პერიოდში გადაკეტილი იყო სოფლისკენ მიმავალი ყველა გზა, ხოლო თავად სპეცოპერაცია ატარებდა უპრეცედენტო მასშტაბებს. მასში მონაწილეობდა 2 ვერტმფრენი, 40-მდე მაღალი გამავლობის ავტომობილი და 200-მდე სამართალდამცავი (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმი). დემონტაჟის პროცესში მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სალოცავთან ახლოს მისვლას ცდილობდა, პოლიციამ სცემა, ხოლო ნაწილი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავა.⁵¹ მოქალაქეთა მიერ მობილური ტელეფონით გადაღებულ მასალაში ჩანს, რომ პოლიციამ მოსახლეობის დასაშინებლად რამდენჯერმე გამოიყენა

⁴⁹<http://gdi.ge/wp-content/uploads/2013/07/GDI-report-full-version.pdf>

⁵⁰http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4845&lang=1&newsid=2669

⁵¹<http://www.youtube.com/watch?v=u6AQAEzT82w>

გამაფრთხილებელი გასროლა. გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციისას პოლიციამ 21 ადამიანი დააკავა, რომელთა ნაწილი 26 აგვისტოს ღამესვე გაათავისუფლეს.

27 აგვისტოს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ექვსი დაკავებული პირი დააჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ხოლო სამ დაკავებულს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს სახით 2-2 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. 2013 წლის ნოემბერში კი შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, მინარეთი კვლავ დაბრუნებულ და აღმართულ იქნა ჭელაში⁵².

ჭელასა და ახალციხეში განვითარებულ მოვლენებს აკვირდებოდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის, მათ შორის, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წარმომადგენლები, რის შემდეგაც მომზადდა აღნიშნული ფაქტის ერთობლივი სამართლებრივი შეფასება.⁵³

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიება ატარებდა უკანონო ხასიათს, იყო დაუსაბუთებელი, დარღვეულ იქნა როგორც მინარეთის მფლობელის საკუთრების უფლება, ასევე ხელყო მუსლიმი მოსახლეობის რწმენის თავისუფლება.⁵⁴

ჯამბულ აბულაძემ, 2013 წლის 14 ივლისს საქართველოში შემოიტანა მინარეთი (ასაწყობი კონსტრუქცია) დაშლილ მდგომარეობაში, რომლის მწარმოებელი სახელმწიფო თურქეთია.

საბაჟო დეკლარაციის შევსებისას დეკლარანტმა მიუთითა, რომ მის მიერ შემოტანილი საქონელი იყო მობილური სახლი, რომლის კოდიც საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით არის 9406 00 110 00.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საქონლის განბაჟებისას დეკლარანტს ევალება (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) გადაიხადოს დამატებული ღირებულების გადასახადი და იმპორტის გადასახადი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქონელი დამზადებული იყო თურქეთში, ხოლო საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის 2007 წლიდან გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, თურქეთის რესპუბლიკაში დამზადებული საქონელი იმპორტის გადასახადით არ იბეგრება.

⁵²<http://www.youtube.com/watch?v=tolfpgGz6WA>

⁵³<http://gdi.ge/?p=403>

⁵⁴<http://gdi.ge/?p=403>

შესაბამისად, ერთადერთი გადასახადი, რომლის გადახდაც დეკლარანტს ევალებოდა, დამატებული ღირებულების გადასახადი იყო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169.1 მუხლის თანახმად, დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი შეადგენს საბაჟო ღირებულების 18 პროცენტს. ამავე კოდექსის 213-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ნიშნავს საქონლის დეკლარირების დღისათვის მის შეფასებას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი. შემოსავლების სამსახური აკონტროლებს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეს და იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას, მას თვითონ განსაზღვრავს.

ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემდეგ მეთოდებს:

- ა) გარიგების ფასის მიხედვით (პირველი მეთოდი);
- ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მეორე მეთოდი);
- გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მესამე მეთოდი);
- დ) საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მეოთხე მეთოდი);
- ე) შედგენილი ღირებულების მიხედვით (მეხუთე მეთოდი);
- ვ) სარეზერვო მეთოდით (მეექვსე მეთოდი).

საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულად ვერ ხერხდება წინა მეთოდის გამოყენება.

მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, ჯამბულ აბულაძე ვალდებული იყო გადაეხადა მის მიერ დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების 18%. არსებული ინფორმაციით, საქონლის საბაჟო ღირებულება, ღირებულების განსაზღვრის პირველი მეთოდის გამოყენების მიხედვით, იყო 9000 აშშ დოლარი (ინვოისში მითითებული ფასი).

საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად დეკლარანტმა გადაიხადა გადასახადი და განაბაჟა საქონელი, რის შემდეგაც ის საკუთრებაში გადასცა მესამე პირებს.

შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადებით, „დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული საქონლის არასწორად კლასიფიცირებამ შეიძლება

გამოიწვიოს იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება. აღნიშნული ოდენობის შემცირების დადგენა ფიზიკური დათვალიერებისა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის გარეშე შეუძლებელია.“ სწორედ ეს გარემოება გახდა მინარეთის დემონტაჟის ფორმალური საფუძველი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთის რესპუბლიკაში წარმოებული საქონელი არ ექვემდებარება იმპორტის გადასახადით დაბეგვრას. შესაბამისად, რა წონისა და კლასიფიკაციისაც არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული საქონელი, ის იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, ის ყველა შემთხვევაში საბაჟო ღირებულების 18%-ს შეადგენს, ხოლო საბაჟო ღირებულება მოცემულ შემთხვევაში უკვე განსაზღვრული და გადახდილი იყო საბაჟო ღირებულების დადგენის პირველი მეთოდის გამოყენებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბაჟო ორგანო ეჭვს შეიტანდა პირველი მეთოდის გამოყენებით საბაჟო ღირებულების დადგენის მართებულობაში, მას უნდა გამოეყენებინა ღირებულების დადგენის ჯერ მეორე, შემდეგ მესამე და ა.შ. მეთოდი. იმავდროულად, მომდევნო მეთოდის გამოყენებისას უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ ვერ ხერხდებოდა წინა მეთოდის გამოყენებით საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ვლადიმერ ხუნდამის 2013 წლის 20 აგვისტოს #39828 ბრძანებაში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმება, არაფერია ნათქვამი, თუ რატომ ვერ მოხერხდა საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სხვა, წინა რიგის მეთოდის გამოყენებით.

ამასთანავე, თუნდაც დეკლარანტის მიერ არასწორად ყოფილიყო მითითებული კლასიფიკატორი (მობილური სახლი ნაცვლად მეტალოკონსტრუქციებისა), ეს არანაირად არ იმოქმედებდა გადასახადის ოდენობაზე, რადგანაც ის მაინც უნდა ყოფილიყო გამოანგარიშებული საბაჟო ღირებულების 18%-ით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დეკლარანტს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის არანაირი გადასახადი არ დაუმაღლავს და მან სრულად შეასრულა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებანი, ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი 214-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საბაჟო კონტროლის ისეთ ფორმას, როგორცაა საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება.

აღნიშნული შემოწმების შესახებ დამატებითი რეგულაციები დადგენილია „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ XXV თავით.

აღნიშნული ინსტრუქციის 112-ე მუხლის პირველ პუნქტში ამომწურავადაა მოცემული საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარების საფუძვლები. საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემულ ბრძანებაში არ არის მითითებული 112-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელი საფუძვლით ჩატარდა საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება, რაც აღრმავებს ეჭვს, რომ საბაჟო სამსახურს არ ჰქონდა შემოწმების ჩატარების სათანადო კანონისმიერი საფუძველი.

ამავე ბრძანების 115-ე მუხლის პირველი პუნქტი ავალდებულებს საგადასახადო ორგანოს, გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმების დაწყებამდე შემოწმების შესახებ 10 სამუშაო დღით ადრე აცნობოს დეკლარანტს ან სხვა ვალდებულ პირს. როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, მსგავსი შეტყობინება 2013 წლის 21 აგვისტოს ჩაბარდა ჯამბულ აბულაძის მეუღლეს, ხოლო დემონტაჟი განხორციელდა 26 აგვისტოს. აღნიშნული ქმედებით აშკარად დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნა.

ბრძანების 115-ე მუხლის მე-5 პუნქტი იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც გაშვების შემდგომი შემოწმების შემთხვევაში აქვს შესაბამის ორგანოს. ეს უფლებამოსილებებია:

ა) დეკლარანტისაგან ან სხვა ვალდებულ პირისაგან მოითხოვოს დეკლარირებული საქონლის შემოტანის ან/და გატანის ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საადრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენა;

ბ) დეკლარანტისაგან ან სხვა ვალდებულ პირისაგან ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან (რომელსაც აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია) მიიღოს წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები გასვლითი შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

გ) განახორციელოს დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებულ პირის საქმიანობაზე დაკვირვება, დაათვალიეროს საქონელი, აიღოს სინჯი ან/და ნიმუში.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ქმედება აშკარად გასცდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. მინარეთი, რომელიც უკვე დამონტაჟებული იყო, არ წარმოადგენდა საქონელს, არამედ ის იყო უკვე არსებული სხვა უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. იმავდროულად, შემოწმებისას მოხდა არა დეკლარანტის (ან სხვა ვალდებული პირის), არამედ სხვა მესამე პირის (დავით ჩოგაძე) საკუთრებაში შეჭრა. ბუნებრივია, სამართალდამცავ ორგანოებს ამის უფლებამოსილება არ გააჩნდათ.

აღნიშნული პროცესების მიმდინარეობასთან ერთად განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის განცხადებები, რომლებიც პარალელურად კეთდებოდა სახელმწიფო მოხელეების მიერ. საგანგაშოა იუსტიციის მინისტრის პოზიცია ჭელაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მუსლიმებს მინარეთების გარეშეც შეუძლიათ ილოცონ, ხოლო ფრაზით „საქართველოს მოუწევს გადაწყვეტა, უნდა იყოს თუ არა ქვეყანაში მინარეთები“, მან ფაქტობრივად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რელიგიურ უმცირესობათა მიერ მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობა. ასევე შემაშფოთებელია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებები, რომლითაც მან აქცენტი პოლიტიკურად დაპირისპირებული მხარეების ჭრილში გადაიტანა და საჭიროდ არ მიიჩნია საკითხისთვის „რელიგიური შეფერილობის“ მინიჭება.⁵⁵ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მსგავსი მიდგომა ასეთი სენსიტიური საკითხების მიმართ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყანაში რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას და რელიგიის თავისუფლების რეალიზებას.

სამწუხაროდ, 2013 წლის განმავლობაში რელიგიურ უმცირესობათა უფლებების ხელყოფის ფაქტებისადმი სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილმა დისკრიმინაციულმა მიდგომამ, საკითხის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებამ და არაადეკვატურმა განცხადებებმა თუ ქმედებებმა გამოიწვიეს სწორედ ის, რომ რელიგიურ ნიადაგზე მუსლიმთა შევიწროებამ და რელიგიის თავისუფლების დარღვევამ სისტემური ხასიათი მიიღო.

ძალადობა იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ - საანგარიშო პერიოდში რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტებს ჰქონდა ადგილი იეჰოვას მოწმეების მიმართაც. გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის 26 ოქტომბერს ბათუმში იეჰოვას სამი მოწმე სცემეს.⁵⁶ თავდასხმა მოხდა ასევე ოზურგეთში, სადაც იეჰოვას მოწმეებს მანქანის მინები

⁵⁵<http://www.interpressnews.ge/ge/politika/250912-paata-zagareishvili-satciro-ar-aris-minarethis-demontazhis-sakithkhs-religiuri-sheferiloba-mieces.html?ar=A>

⁵⁶<http://www.presa.ge/new/?m=society&AID=22804>

ჩაუმსხვრიეს და არ მისცეს რელიგიური რიტუალის შესრულების შესაძლებლობა.⁵⁷ იეჰოვას მოწმეებს პრობლემა შეექმნათ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანშიც, სადაც სოფლის მართლმადიდებელი მოსახლეობა არ აძლევდა სახლის აშენების საშუალებას.⁵⁸ იეჰოვას მოწმეების ადვოკატის განცხადებით, დაპირისპირების მიზეზი რელიგიური მრწამსია. ინციდენტისას ადგილი ჰქონდა იეჰოვას მოწმეების მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას.⁵⁹

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, რაც გულისხმობს ხელისუფლების ორგანოების მიერ ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას უფლების დარღვევის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს ადეკვატური და დროული რეაგირება ყველა ზემოთ ხსენებულ ინციდენტზე და პასუხისგებაში მისცეს სამართალდამრღვევი პირები.

ფირუზ წულუკიძისა და თემურ ბახუნტარაძის საქმე - 2013 წლის 13 სექტემბერს ბათუმში პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით ფირუზ წულუკიძე და მისი მწვრთნელი თემურ ბახუნტარაძე დააკავეს. ბრალდებულები საკუთარ დაკავებას რელიგიური მოტივებით დევნას უკავშირებენ. მათ დაკავებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი, 20 წლის ფირუზ წულუკიძე 2013 წლის 10 აგვისტოს სწორედ რელიგიური მოტივით არ გაუშვეს მსოფლიო ჩემპიონატზე. დაკავებულის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიციელმა მას ყოველივე ახსნა-განმარტების გარეშე აუკრძალა საქართველოს ტერიტორიის დატოვება, მომდევნო დღეს კი ჭიდაობის ფედერაციამ განუმარტა, რომ „საქართველოსთვის არასასურველ ხალხთან ურთიერთობის“ მიზეზით ეკრძალებოდა ქვეყნის დატოვება.⁶⁰

ფირუზ წულუკიძის განცხადებით, დაკავებისას პოლიციამ ისინი უმოწყალოდ სცემა. როგორც დაკავებული აცხადებს, მათ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სცემდნენ, წაქეუულ მდგომარეობაში მყოფს პოლიციელები ფეხებით ადგებოდნენ ზურგზე, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, ხოლო წაქეუულს თავი მიწაზე დაარტყმევინეს. დაკავებულის განმარტებით, პოლიციელები განსაკუთრებით აგრესიულები იყვნენ თემურ ბახუნტარაძის

⁵⁷ <http://newposts.ge/wap.php?l=G&ID=27421-%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98,%20%E1%83%98%E1%83%94%E1%83%B0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90,%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90>

⁵⁸ <http://www.tabula.ge/ge/story/77497-iehovas-motsmeebs-goris-raionshi-saxlis-msheneblobas-ushlian>

⁵⁹ <http://www.liberali.ge/ge/liberali/news/117027/>

⁶⁰ <http://www.youtube.com/watch?v=JLVqNT-7u2s>

მიმართ, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა გონებაც დაკარგა.⁶¹ ფიზიკურ შეურაცხყოფას თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხაზგასმა ხდებოდა მათ მრწამსზე, კერძოდ, იმაზე, რომ დაკავებულები იყვნენ მუსლიმები.⁶² დაკავებული პირების სხეულზე მრავლობითი დაზიანებების არსებობა დაადასტურა სახალხო დამცველის რწმუნებულმაც.⁶³

გარდა ამისა, დაკავებულები ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ მანამდე ხორციელდებოდა ზეწოლა რელიგიური ნიშნით. კერძოდ, მწვრთნელ თემურ ბახუნტარაძეს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულზე გაკეთებულ დარბაზში პოლიციელებმა აუკრძალეს ლოცვის ჩატარება.⁶⁴

ცხადია, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოქალაქეთა მიმართ არასათანადო მოპყრობას და მათი რელიგიური ნიშნით დევნას, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებებს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული რელიგიური დევნის შესახებ ინფორმაცია აისახა საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ წარმოდგენილ 2013 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშიც.⁶⁵ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა გაატაროს მკაცრი ზომები აღნიშნული ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით, რათა მოხდეს გამოკვეთილი ტენდენციის აღკვეთა და სამართალდამცავი ორგანოები არ იქცნენ რწმენის თავისუფლების დარღვევის წყაროდ.

6. ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება და აკრძალულია სახელმწიფოს ან ცალკეული პირების მიერ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია. კონსტიტუციის ეს მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლების სპეციფიკურ ნაწილს, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების ერთ-ერთ საშუალებას - მედიის თავისუფლებას.

⁶¹<http://ick.ge/jinvestigation/16389-i.html>

⁶²<http://ick.ge/jinvestigation/16389-i.html>

⁶³<http://ick.ge/jinvestigation/16389-i.html>

⁶⁴<http://ick.ge/jinvestigation/16389-i.html>

⁶⁵<http://gdi.ge/wp-content/uploads/2013/07/GDI-report-full-version.pdf>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება ინფორმაციისა და აზრის თავისუფლება, რადგანაც ინფორმაციული ვაკუუმისა და აზრის შეზღუდვის პირობებში, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა“.⁶⁶

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია პირის თავისუფლება - ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები, საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „პრესის თავისუფლება საზოგადოებას ანიჭებს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო საშუალებას, რათა მან აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება იმ იდეებსა და მიდგომებთან დაკავშირებით, რომლებიც გააჩნიათ პოლიტიკურ ლიდერებს“.⁶⁷

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია წინასაარჩევნოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ეკა კვესიტაძის პოლიტიკური გადაცემა „აქცენტების“ და დავით პაიჭაძის პოლიტიკური გადაცემა „დიალოგის“ დახურვამ.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს წინ უსწრებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის მიმართ უნდობლობის გამოცხადების პროცესის წამოწყება. საბჭო ამტკიცებდა, რომ ბარათაშვილმა მათ დროულად და ამომწურავად არ მიაწოდა ინფორმაცია გადაცემებსა და ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესამდე დაახლოებით ექვსი თვის წინ, სამეურვეო საბჭომ ბარათაშვილს ერთხელ უკვე გამოუცხადა უნდობლობა, თუმცა მაშინ გათავისუფლებულმა დირექტორმა სასამართლო დავის წარმოების მემვეობით მიაღწია თანამდებობაზე აღდგენას.

რაც შეეხება ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის გადაცემების დახურვას, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თამაზ ტყემალაძემ გაახმოვანა, კერძოდ ის, რომ მიღებული გადაწყვეტილება ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის ტენდენციურობასა და ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მხარდაჭერას უკავშირდება, აღრმავებს ექვს გადაცემების სწორედ პოლიტიკური მოტივით დახურვის თაობაზე.

⁶⁶საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, პ. II.4;

⁶⁷[http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57523#{"itemid":\["001-57523"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57523#{)

გადაცემების დახურვის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის გადაწყვეტილება არ იყო მყარი და ობიექტური არგუმენტებით დასაბუთებული, რაც თავად მაუწყებლის მენეჯმენტის პოლიტიკური მიუკერძოებლობის მიმართ ბადებს კითხვებს.

მსგავსი პრეცედენტები უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიან რეპუტაციაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი არ უნდა იყოს შეზღუდული რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენით, რათა ჟურნალისტებმა თავისუფლად შეძლონ თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელება. სატელევიზიო გადაცემების დახურვას და მით უმეტეს ჟურნალისტებთან კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტას მყარი დასაბუთება სჭირდება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ყურადღება ასევე მიიქცია “ტელეარხი 25”-ის დამფუძნებლისა და დირექტორის გიორგი სურმანიძის და ტელეარხის მფლობელ ჯემალ ვერძაძის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ, სადაც ისინი მიუთითებენ მათზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებზე. როგორც მათ მიერ მოწოდებულ განცხადებაშია აღნიშნული, მათ მიმართ საქართველოს პროკურატურის მაღალჩინოსნისა და გამომძიებლების მხრიდან განხორციელდა ზეწოლა, რათა მათ ჩვენება მიეცათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ. ისინი ამ ფაქტს დამოუკიდებელ მედია საშუალებაზე ზეწოლად განიხილავენ.

გიორგი სურმანიძისა და ჯემალ ვერძაძის განცხადების თანახმად, ისინი 2013 წლის 17 დეკემბერს დაიბარეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში. სადამოს მისულები, ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე, დილის 5 საათამდე ამყოფეს პროკურატურის შენობაში. დამის განმავლობაში მათზე ზეწოლას ახდენდნენ პროკურატურის 10-მდე მაღალჩინოსანი და გამომძიებელი. კონკრეტულ პირებს დანაშაულის ორგანიზატორებად და მფარველებად არდასახელების შემთხვევაში მათ ემუქრებოდნენ ციხეში სამუდამოდ ჩასმით. მათ უარი განაცხადეს ამ ტიპის ჩვენების მიცემაზე, რის გამოც, მათივე განცხადებით, აეკრძალათ ქვეყნის დატოვება, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა ინფორმირებული იყო გიორგი სურმანიძის საზღვარგარეთ

მკურნალობის გაგრძელების გეგმების შესახებ, ხოლო 23 დეკემბერს მას დაუყადაღეს ქონება და პირადი საბანკო ანგარიშები.

საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი, მოჰყვა თუ არა რეაგირება “ტელეარხი 25”-ის დამფუძნებელთა და მფლობელთა განცხადებებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. აღნიშნული განცხადებები უკიდურესად შემაშფოთებელ ფაქტებს ეხება, შესაბამისად, აუცილებელია ჩატარდეს სრულყოფილი, დროული და მიუკერძოებელი გამოძიება, ხოლო განცხადებებში მითითებული ფაქტობრივი ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, მოხდეს კანონდამრღვევთა პასუხისგებაში მიცემა.

7. საკუთრების უფლება

2012 წლამდე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა ან მემკვიდრეობით მიღება. 2012 წლის 26 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა აღნიშნული რეგულაცია.

2013 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში განახორციელა ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა ამავე წლის 17 ივლისს. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2014 წლის 31 დეკემბრამდე მიწის მემკვიდრეობით მიღება და შეძენა არ შეეძლება უცხოელს, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.⁶⁸ ცვლილებების მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს დაევალა სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა, აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება, მიწის ნაკვეთების დაქუცმაცების თავიდან აცილება და არარაციონალური გამოყენება, სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, ასევე მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზების უზრუნველყოფა.

პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილება, კერძოდ კი, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედი რედაქცია ავსტრიის მოქალაქის, მათიას ჰუტერის მიერ გასაჩივრებულია

⁶⁸ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1961212

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. მოსარჩელე ითხოვს აღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და მე-14 მუხლებთან მიმართებაში.⁶⁹

აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილება არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას. მსგავსი შინაარსის ნორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით. სასამართლომ დაადგინა, რომ დაწესებული შეზღუდვა, რომელიც უცხოელებს არ აძლევდა მიწის შეძენის უფლებას და ავალდებულებდა მემკვიდრეობით მიღებული მიწის გაყიდვას, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს, რადგან „ირღვევა გონივრული ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის“.⁷⁰

კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. მისი შეზღუდვა შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „...კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვის წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ ასევე დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.“. ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებული აქვს „საკუთრების შეძენის“ კომპონენტი, რომელიც არეგულირებს საკუთრების უფლებამდე წარმოშობილ ურთიერთობებს.⁷¹ სასამართლომ ამ მიმართულებით აღნიშნა, რომ „კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს საკუთრების შეძენას და მისი გამოყენების, საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, საკუთრების უფლების შეძენის სამართლებრივი მექანიზმების არარსებობა გამოიწვევდა საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ელემენტებისაგან შემდგარი საკუთრების სამოქალაქო კონცეფციის „დაცარიელებას“.⁷² საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე თავის გადაწყვეტილებაში პირდაპირ განსაზღვრა იმ სუბიექტთა წრე, რომლებიც სარგებლობენ კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სფეროთი: „კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლება ეკუთვნის ყველას და

⁶⁹http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=6&info_id=1164

⁷⁰http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=692&action=show

⁷¹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.35;

⁷²საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.39;

კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს, მათ შორის, მოქალაქეობის ნიშნით.⁷³

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. შესაბამისად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილება ეწინააღმდეგება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, ასევე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ნორმის მსგავსი შინაარსის დანაწესის მიღება თუნდაც დროებით საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ უფლებებსა და სამართლებრივ სტაბილურობას. პარლამენტმა, როგორც დამოუკიდებელმა საკანონმდებლო შტომ, პატივი უნდა სცეს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმს. მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება შემაშფოთებელია, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან და პარლამენტს საშუალებას აძლევს უგულებელყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამგვარი ნაბიჯები, ერთი მხრივ, ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს და, მეორე მხრივ, საზოგადოებაში აჩენს გარკვეულ უნდობლობას პარლამენტის მიმართ.

⁷³საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.44;